

28 ნოემბერი - ჭეშმარიტების დღე!

საქართველო



იმისთანა წმინდა საღმრთო, ბოგობიგ ბუქე-
უბი სიფყავა, ფყუილებით და ჭბბბბით ბუბ-
თის გაცანა ყუულა უკადრისბბბაჟ უსბბბაგულსია.

ბაიოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რეპუბლიკა

სამშაბათი, 27 ნოემბერი. 2018 წ. №240 (8641)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 60 თეთრი

ან აღმავლობა, ან დაღმავლობა...

თუ სახელმწიფოებრივად პიარობნებთ, ⑤ ბადაპრჩებთ!



ბრიგოლ ვაშაკე - ამაზრზენი, რუსეთის ბარბონები კანდიდატი...



ვინ აღბვიდბენს „დიდების ბეობრიას“?

უკრაინაში ოგი დაინყო?! ③

არა, ქართველნო, ჩვენ ნე-
ოფაშისგური ნაციონალების
მობრუნებაზე არ გვიოცნებია!
ჩვენი ოცნება იმთავითვე
უწინარესად ანტიეროვნული
ნაციონალების პოლიტიკური
სარბიელიდან სრულ გაქრო-
ბას გულისხმობს!
და სწორედ ამის შემდეგ
უნდა დაიწყოს „ქართული
ოცნების“ სრული ხორც-
შესხმა, რაც ქვეყნის კეთილ-
დღეობას დაჩქარებულად
მიგვაახლოებს.
არა და არა ვაშაკეში გან-
სახიერებულ სააკაშვილს!
ყველამ ერთად ერთსულოვ-
ნად მივცეთ ხმა ღირსეულ
ქართველ მანდილოსანს სა-
ლომე მურაბიშვილს, რომე-
ლიც თანაბრად საქართვე-
ლოს ყველა მოქალაქის დე-
და-პრეზიდენტი იქნება!



სალომე მურაბიშვილს საპრჩებნო კამპანია ენბურზე დაასრულა

პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატი
სალომე მურაბიშვილი ენგურზე შვილებთან ერ-
თად მივიდა და აღნიშნა, რომ მისი საარჩევნო კამ-
პანიის ენგურზე დასრულება სიმბოლოურია.
„ჩემი საარჩევნო კამპანია სრულდება აქ, ენგურ-
ზე. იქ, სადაც საოკუპაციო ხაზია და ამ ხაზის იქით,
მოსწორებით ჩვენი საზღვარი ფსოლზე, რაც ჩვენი სა-
ხელმწიფოს საზღვარია და ყოველთვის იქნება.
ეს არის ადგილი, რომელსაც სიმბოლოური დატ-
ვირთვა აქვს, ერთი მხრივ, საოკუპაციო ხაზია, მეო-
რეს მხრივ, ენგურისი, რომელიც ერთ-ერთი მაგა-
ლითია იმისი, რომ შეგვიძლია ერთად მუშაობა და
არის ბევრი სხვა რამ, ჩვენი წარსული და ჩვენი მო-
მავალი. ეს არის ჩემი კამპანიის დასრულება ამ იმე-
დიანი სიტყვებით, ჩვენი მომავალიც აქაა“, - განაცხა-
და სალომე მურაბიშვილმა.

ავღანეთში ხმის მიცემა მშვიდობიანად დასრულდა

საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურთან და-
კავშირებით ავღანეთში ხმის მიცემის პროცედურა
დასრულებულია. როგორც ცესკოს პრესსპიკერმა ანა
მიქელაძემ განაცხადა, ხმის მიცემის პროცედურამ
მშვიდ ვითარებაში, ექსცესების გარეშე ჩაიარა.
„ავღანეთში ორ საარჩევნო უბანზე, კერძოდ მაზა-
რიშარიფისა და ბაგრამის საარჩევნო უბნებზე საქარ-
თველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტური დას-
რულდა. არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს სამხედრო-
ებმა, რომლებიც ავღანეთში არიან დისლოცირებულნი.
ხმის მიცემის პროცესი მშვიდ გარემოში წარიმართა.
ზოგიერთი სამხედრო არ იმყოფებოდა უშუალოდ
სამხედრო ბაზაზე. ისინი სამხედრო პოსტებზე იყვნენ.
აქედან გამომდინარე, რათა თითოეულმა სამხედრომ
შეძლოს ხმის მიცემა, სპეციალური ჯგუფის წევრებ-
მა მათთან მიიტანეს გადასატანი საარჩევნო ყუთი. ხმის
მიცემა დასრულებულია და საარჩევნო ყუთი დაბრუნდა
ბაზაზე“, - განაცხადა ანა მიქელაძემ.
ავღანეთში ჩატარებული არჩევნების ხმების დათ-
ვლა 28 ნოემბერს 20:00 საათის შემდეგ მას შემდეგ
მოსდება, როდესაც მთელ საქართველოში დასრულ-
დება ხმის მიცემის პროცედურა.

„არა - ნაციაზმს, არა - ძალადობას“!



ნბ. 12 ბბ.

რასაკვირველია, ვერც ნოსტრადამუსობას ვიქმ და ვერც ცაგარლობას, მაგრამ ეს კი ნამდვილად ჩემი დანერგვაა: „თუ ნაცვები გაიმარჯვებენ, იქნება „ქართული ოცნების“ ბრალი, ხოლო თუ დამარცხდებიან, გვარამიას ბრალი იქნება.“

მოვლენები ისე ვითარდება, რომ შეიძლება, ნოსტრადამუსობას თუ არა, ცაგარლობას მაინც გამოვკრა ხელი. ამას ნოემბრის „კვირის აქცენტები“ მაფიქრებინებს. ცოცხალ-მკვდრებს ჰკვიანდენ კვესიტაძე და გვარამია.

სადღა იყო მათი ირონიული ქილიკი და ბაქი-ბუქი?! ნიკას, ფაქტობრივად, ერთხელაც არ გაუცინია, ეკას ნაძალადევი ღიმილი კი ტირილს უფრო ჰგავდა... მათ ერთი მთავარი მიზანი ჰქონდათ: როგორმე, გაეკროთ საზოგადოებაში სააკაშვილის დაბრუნებისა და არეულობის დაწყების შიში. ღამის ეხვეწებოდნენ, თქვი, რომ არ ჩამოხვალ, რომ თანამდებობა არ გინდა, რომ ამბიციია საერთოდ არ გაგაჩნიაო.

მიშა რალა მიშა იქნებოდა, ეს რომ ეთქვა?! დიდი მცდელობის შემდეგ, მხოლოდ იმას მიაღწიეს, რომ ლაზიკის მმართველობა იმყოფინა, ოღონდ, ესეც იმ პირობით, რომ... მინისტრებს თვითონ უნდა ნიშნავდნენ.

არ გაინტერესებთ, მინისტრობას ვის უპირებს?

ეკა გიგაურს, ხათუნა სამნიძეს, თამარ კორძაიას... როგორია?!

* * *



რადგან სამუბლო დღეას „სარსის წრეში“...

და მინც, არ მინდა, ზედმეტად ოპტიმისტი ვიყო. თუ სალომე გაიმარჯვებს, არაფერს გეტყვი, თუ დამარცხდება, იცოდეთ, 29 ნოემბერს სამშობლოს მოღალატედ გამოცხადდება! – არცთუ მთლიად ხუმრობით ვუთხარი ორიოდ კვირის წინათ ჩემს ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო მეგობარს, რომელიც არჩევნებზე წასვლას პრინციპულად არ აპირებს. მასზე უფრო პატიოსან პიროვნებას არც კი ვიცნობ.

და მინც, არ მინდა, ზედმეტად ოპტიმისტი ვიყო.

თუ სალომე გაიმარჯვებს, არაფერს გეტყვი, თუ დამარცხდება, იცოდეთ, 29 ნოემბერს სამშობლოს მოღალატედ გამოცხადდება! – არცთუ მთლიად ხუმრობით ვუთხარი ორიოდ კვირის წინათ ჩემს ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო მეგობარს, რომელიც არჩევნებზე წასვლას პრინციპულად არ აპირებს. მასზე უფრო პატიოსან პიროვნებას არც კი ვიცნობ.

და მინც, არ მინდა, ზედმეტად ოპტიმისტი ვიყო.

ერთ მხარეს დანაშაულებებით სავსე ცხრა წელიწადია. მეორე მხარეს – შიშველი და სავსე ექვსი წელიწადი. „შუა უზის ღიმილი“ და განა განსხვავების დანახვა ასე ძველია?!

დიდი მწარეები და ხელოვნები წინათგრძობის ნიჭითაც არიან დაჯილდოებულნი. მაგალითად, რამდენჯერ აგვისდა გალაკტიონის წინასწარმეტყველება. რობერტ სტურუას წინათგრძობაც ბევრჯერ გამართლდა. ჩვენი სამშობლო დღესაც „კავკასიურ ცარცის წრეში“ მოქცეული და მისი გამოხსნა ჩვენზე დამოკიდებულია. **ჰოდა, ნავიდეთ არჩევნებზე და გამოვიხსნათ.**

მთავრობასაც და პრეზიდენტსაც კი შემდეგ მოვითხოვთ. პირველს – ძველი და ახალი შეცდომების გამო. მეორეს – თითოეული არასწორად გადატანილი ნაბიჯის გამო. ალიყური ანუ მწარე გავეითილი ხომ უკვე მიღებული აქვთ?! თუ არ გაითვალისწინებენ, მერ ყველაფერი საკუთარ თავს დააბრალონ... ჩვენ ჩვენი გადაკეთოთ. გავაკეთოთ სამშობლოსათვის... **იოსებ ჭუმბურიძე**



„THE WASHINGTON POST“-ის შურნალისტური გამოცემა: სხინვალ რუსული შავი ფულისთვის „ოფსორულ ზონად“ იქცა!

გავლენიანი ამერიკული გამოცემა, „THE WASHINGTON POST“-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიებში, რომელიც შურნალისტურ კვლევას წარმოადგენს, რუსული „შავი ფული“ მიმოქცევის სქემას გადმოკვირვებულნი – მოსკოვიდან ცხინვალში, ცხინვალშიდან კი დონბასში, უკრაინის სეპარატისტულ რეგიონში. მასში საუბარია აგრეთვე „სამხრეთ ოსეთის“ ეკონომიკურ მდგომარეობაზე, სამხედრო მნიშვნელობაზე რუსეთისათვის და ა.შ.

საინფორმაციო პორტალი REGION.GE გთავაზობთ გამოცემის მოსკოვური ბიუროს ხელმძღვანელის ანატოლი ტროიანოვის ავტორიტეტული ინტერვიუ მასალის ძირითადი ნაწილი:

„იზოლირებული, ომის შედეგად ჭრილობებშიყენებულ ანკლავი, რომელიც კავკასიის მთებში მდებარეობს, რუსეთის ჩრდილოეთი ფინანსური იმპერიის ფარულ გზაჯვარედინს წარმოადგენს. კრემლი დიდი ხნის განმავლობაში აფინანსებს პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების – მოლდოვას, საქართველოსა და უკრაინის შემადგენლობაში არსებულ სეპარატისტულ პრორუსულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს. მოსკოვისთვის მთავარი მიზანია, აღადგინოს რუსეთის გავლენა და ხელი შეუშალოს პოსტსაბჭოთა ქვეყნების დრეიფს დასავლეთისაკენ. ნახევრადსახელმწიფოები რუსეთისთვის იმდენად მნიშვნელოვანი გახდა, რომ მათთვის ფარული ფინანსური სისტემა კი შეიქმნა, რომელიც ასევე კილომეტრზე მდებარე რეგიონებს ერთმანეთთან აკავშირებს საერთაშორისო სანქციების გვერდის ავლით.“ – ნათქვამია სტატიაში, რომელშიც ავტორი ესაუბრება პოლიტიკურ და საქმიან ლიდერებს, რომლებიც ამ იმპროვიზებულ საბანკო სისტემას იყენებენ და რომელიც სამხრეთ ოსეთზე გადის, საქართველოს თვითგამოცხადებულ სეპარატისტულ რეგიონზე.



შეუძლია სეპარატისტებთან. „ვაშინგტონმა სანქციები დაუწესა სამხრეთ ოსეთში დარეგისტრირებულ კომპანიას „ვენეტორგსერვისს“, რომელიც დონბასიდან ქვანახშირის ექსპორტს ეწევა რუსეთის გავლით. სამხრეთ ოსეთი ერთგვარ „ოფსორულ ზონად“ იქცა კომპანიებისათვის, რომლებიც უკანონო ბიზნესს ეწევიან... რა თქმა უნდა, სამხრეთ ოსეთის მზარდი როლი რუსეთთან უკანონო ფინანსურ კონტაქტებში საქართველოს რთულ მდგომარეობაში აყენებს. საქართველოს მთავრობა, ისევე როგორც დასავლეთის სხვა სახელმწიფოები, სამხრეთ ოსეთს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიად მიიჩნევენ, მაგრამ ქართველი ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ არ სურთ დიდი ხანობის გამოწვევა (უკანონო ფინანსურ ოპერაციებთან) დაკავშირებით.

თბილისის დღემდე არა აქვს აღდგენილი დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან, მაგრამ ეკონომიკური ურთიერთობა თანდათან ვითარდება, ვაჭრობით და ტურიზმით საქართველოს ბიუჯეტში მნიშვნელოვანი თანხები შედის. საქართველოს ხელისუფლება აცხადებს,

რომ მას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხალხებთან შერიგება სურს: „დიახ, ჩვენ გვაქვს ინფორმაცია ფულის ნაკადებზე სამხრეთ ოსეთსა და უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონს შორის“, – ამბობს სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი ტელეფონით საუბრის დროს, – მაგრამ ამჟამად ბევრს ვერაფერს ვაკეთებთ“. უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში არსებულმა სეპარატისტულმა მთავრობებმა „ვაშინგტონ პოსტის“ ჟურნალისტს ტერიტორიაზე შესვლის ნება არ დართეს და ტელეფონით საუბარზეც უარი უთხრეს.

„სამხრეთ ოსეთი კავკასიის მთების სიღრმეში კრემლისათვის სამხედრო ფორპოსტად ითვლება“, – აღნიშნავს ავტორი და მოკლედ აღწერს ცხინვალის ახლოს დისლოცირებული სამხედრო ბაზის შექმნის ისტორიას 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ.

ანატოლი ტროიანოვიც კი ეხება კრემლის მიერ სეპარატისტების მართვის მექანიზმებს: „კრემლის მთავარ წარმომადგენელად საქართველოსა და უკრაინის სეპარატისტულ რეგიონებში ვლადისლავ სურკოვი ითვლება, რომელიც ამჟამად ვლადიმერ პუტინის პირად მრჩეველად მუშაობს. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული აფხაზეთთან, სამხრეთ ოსეთთან, დონბასელ სეპარატისტებთან. აგვისტოში ვლადისლავ სურკოვი, როცა იგი რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლად აღიარების 10 წლისთავის ზეიმს ესწრებოდა ცხინვალში, განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთმა დიდი გმირობა გამოიჩინა „დონცეკლუ-განსკის სახალხო რესპუბლიკების“ აღიარებით“ – როცა კივდის რეჟიმს მათთვის ეკონომიკური ბლოკადა აქვს გამოცხადებული, ცხინვალის დახმარება მაშველ რგოლს ნიშნავსო.

ვლადისლავ სურკოვმა უარი განაცხადა „ვაშინგტონ პოსტის“ წარმომადგენელთან ინტერვიუზე. „იმ დროს, როცა „ვაშინგტონ პოსტის“ ჟურნალისტი ცხინვალში ანატოლი ბიბილოვს ესაუბრებოდა, მაგიაზე მდგომარეულნი დადრეკა, რომელსაც არც კლავიატურა ჰქონდა, არც რაიმე ციფრებთან. ანატოლი ბიბილოვმა ინტერვიუ შეწყვიტა. მან ყურმილი აიღო და სანამ კაბინეტიდან (მეორე ოთახში) გავიდოდა, მან „სურკოვი“ ასცენა. რამდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდა და თქვა, რომ ბიზნესის საკითხებზე ვისაუბრო“, – წერს ავტორი პუბლიკაციის დასასრულს.

წყარო: REGION.GE



ამ აფეთქების დაგეგმული სააკაშვილი იყო!

ვინ აღგვიბენს „დიდების მემორიალს“?

სულით სორცამდე შემძრა ჩემსავით დროული კაცის, პენსიონერ როსტომ შვანგირაძის წერილმა, რომელიც „საქართველოს რესპუბლიკაში“ წლებულს, 6 ნოემბერს გამოქვეყნდა და საოცრად მეტყველი სათაური აქვს: „ქუთათურებო, მერამდენედ უნდა დავდიოდეთ თავჩაქინდრული?“ ეს კითხვა ქალაქ ქუთაისის ყველა საპატიო მოქალაქეს გვანუნებდა და თავჩაქინდრულს კვლავაც რომ არ გვევლო, ამიტომ ვიყავით ძალზე გულახდილები, როდესაც ამ პრობლემამ სამსჯელოდ „ქართული ოცნების“ ადგილობრივ სათავე ოფისში მიგვიყვანა. შეხვედრაზე ითქვა, რომ მოულოდნელი არ იყო საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის ის შედეგი, რომელიც ქუთაისში დაფიქსირდა. ეს მრავალმა ფაქტორმა განაპირობა, მათ შორის იმანაც, რასაც ამ შეხვედრაზე ჩემი გამოსვლისას საგანგებოდ გაუუსვი ხაზი, როცა „ქართული ოცნების“ ადგილობრივ თავკაცებს შევახსენე პოეტის სიტყვები: „ახლა უფრო დაფიქრების დროა, ჩადენილი შეცდომები ბევრია“ და ამ შეცდომათაგან რამდენიმე უმტკივნეულესი დავასახელე კიდევ ასე მაგალითად: თავის დროზე შეცდომა იყო პარლამენტის თბილისიდან ქუთაისში გადმოტანა, მაგრამ დღეს გაცილებით დიდი შეცდომა გახლდათ სწორედ საპრეზიდენტო არჩევნების წინა დღეებში თბილისში მის დაბრუნებაზე საუბარი, მით უფრო, რომ ჩვენ სამეზობლოში ზუსტად საპირისპირო ხდებოდა. მათ შორის თუნდაც ყაზახეთში, სადაც დედაქალაქი ალმათიდან ასტანაშია გადატანილი. ამ შეცდომით მოხერხებულად ისარგებლა ოპოზიციამ და იმის დაპირებით, რომ ამის უფლებას არავის მისცემდა, ამომრჩეველთა დიდი ნაწილი თავის სასარგებლოდ განაწყო. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ქუთაისს 10 წელიწადია, აღარა აქვს თავისი ყოველდღიური საინფორმაციო გაზეთი „ქუთაისი“ და ბურთი და მოედანი თითქმის მთლიანად მიშისტურ ჯიბის ტელევიზიებს აქვთ დაპყრობილი. მათ კი არც ერთხელ არ უხსენებიათ და არც იყო მოსალოდნელი, ესენებიანთ, რა დიდი უბედურება და ატყდა ქალაქს „დიდების მემორიალის“ აფეთქებით, იმ მემორიალისა, რომელსაც საქართველოს სულიერმა მამამ ილია მეორემ „ქართული ბიბლია“ უწოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რადგან „დაშვებული შეცდომები ბევრია“, ახლა არა მარტო დაფიქრების, არამედ მოქმედების, თანაც უაქტიურესი მოქმედების დრო დადგა.

ამან გადამანყვეტინა, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ საგანგებოდ შემესენებინა ჩემი ქალაქისა და სრულიად საქართველოსათვის „დიდების მემორიალის“ აფეთქებით გამოწვეული დიდი უბედურება და საფრთხე, რომელიც გველოდება სააკაშვილის მიერ შერჩეული პრეზიდენტობის რუსეთში კანდიდატისთვის ხმის მიცემით. ამასთან იმედს გამოვთქვამ, რომ დადგება ის ბედნიერი დღე, როდესაც „დიდების მემორიალს“ კვლავ დაუბრუნდება სიცოცხლე და ქვეთა და ბრინჯაოთი ნაწერ ამ უძვირფასეს ბიბლიას დალუპული დედაშვილი ჯიჩქარაძეების – ქალბატონი ეკასა და მისი ანგელოზი 11 წლის გოგოს – ნინოს ხსოვნაც შეემატება!..

რაც შეეხება არჩევნების მეორე ტურის გადამწყვეტ დღეს, 28 ნოემბერს, მოკლედ ვიტყვი: **თუკი ხარ ქუთაისელი, ნამდვილი ქუთაისელი, აგერ ხმალი და კისერი, ვაშაძისაგან გვისხენი, თავის მოჭრისგან გვისხენი.. ნულარ შეცდები ისევე, თუკი ხარ ქუთაისელი..**

ალექსანდრე შენგელია,
ქუთაისის საპატიო მოქალაქე

„არა - ნაციზმს, არა - ქალაქობას“!

თავისუფლების მოედანზე 25 ნოემბერს აქცია, ლოზუნგით „არა ნაციზმს, არა - ქალაქობას“, „პატრიოტთა ალიანსის“ ორგანიზებით გაიმართა. აქციის მონაწილეები თავისუფლების მოედანზე რუსთაველის პროსპექტიდან მსვლელობით წამოვიდნენ. „არა - მიშას“, „არა - ნაციზმს“, არ გვინდა „ნაციონალური მოძრაობა“ - საპროტესტო აქცია ამ შეძახილების ფონზე მიმდინარეობდა. „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერთან ერთად სიტყვით გამოვიდნენ ცნობილი სახეები, საზოგადო მოღვაწეები, პოლიტიკოსები. „პატრიოტთა ალიანსმა“ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში მხარდაჭერა სალომე ზურაბიშვილს გამოუცხადა და შეკრებილებს მოუწოდა, 28 ნოემბერს მხარი დაუჭირონ დამოუკიდებელ კანდიდატს. ორგანიზატორების განცხადებით, აქციას 100 ათასამდე ადამიანი ესწრებოდა.



არ დავტოვოთ საქართველო არაპატივსაცემად

ასლოვდება სანატრელი ოცნებების ასდენა, ან სად იყო, ან სად არის მუხტი ასე ამხელა, არ ვაბობდი, არ მინდოდა ტყვილების გამხელა... ვიცი თუ გონს მოვეგებოთ, ასრულდება ოცნება,

მთებს დაგლაშქრავთ, ცაში ავალოთ, რომ შემოგვრათ კამარა, არ დავტოვოთ პატარები, არ დავტოვოთ მომავალი, არ დავტოვოთ საქართველო არაკაცთა ამარა!..

ლია გიგაური,
ყაზბეგი-თბილისი.



ნაკვეთიკა

გაბეძლოს, ჩემო საქართველო!

რამდენი მტრის შემოსევას გაუძელი, ჩემო ქვეყნავ, ქართველ ვაჟკაცთა სისხლის ფასად კიდევ რომ ცოცხლობ! მაგრამ ვაი, რომ სისხლი იღვრება დღესაც - შინაურ მტერთაგან. მძლავრობს სიბრძნე, სიბოროტე, ენაბილწობა, ანგარება, დიდი ტყუილი. სიცრუე იქცა თვალსაზრისად, დანაშაული - ღირებულებად. მიჭირს, გიყურო გვერდებჩამოთლილს, დაჭრილს, დაჩეხილს, ჩემო პატარავ! გაგეძლოს საქართველოვ, იმედს არ ვკარგავ!

ლონდა მდივანი

ყურადღება! ყურადღება!

ძვირფასო ქართველო ბიზნესმენებო, უნიკალური სამკურნალო თვისებებით განთქმულ **კურორტ სანიტარში იყიდება 2433 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოდგება ნებისმიერი სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ან სასტუმრო კომპლექსის ასაშენებლად.**

ფასი შეთანხმებით!



დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-79-76-79; 599-36-00-35; 599-53-76-16.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიასვილი
599 53-76-16;
ალექო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაქიძე
514 33-33-24

გამომცემლობა:
შპს „თანამდგომარეობა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იხეივანე გამომცემლობა
„ქოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შუამდგომლობის მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაქმობა, მუდამ არ ემთხვევა რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აბეზან ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“
შენი გაზეთია, აუსილავლად გამოიწერა, იყიდე, წაიკითხე, ისიამოვნე!

	რედაქციის მისამართი: აშშ ფოსტა - 2.6585; შპრო - 3.0347; ბრიტანული მიკროსტრუქტურა - 3.4287 100 რუბლი - 4.01851; თურქული ლირა - 0.5025; აზერბაიჯანული მანათი - 1.5684; 1000 სომხური დრამი - 5.4882.	აქციური 27 ნოემბრისთვის აღმოსავლეთი საქართველო: ბარა - ლაპი -2, ლაპი +15 შიშანი რაიონები - ლაპი -7, ლაპი +13 დასავლეთი საქართველო: ბარა - ლაპი +6, ლაპი +19 შიშანი რაიონები - ლაპი -4, ლაპი +15 თბილისი: ლაპი +2, ლაპი +13	დაგვიკავშირეთ, მოგვწერეთ: ტელ: 299-02-10, 599-79-76-79 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge
--	---	--	--